პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 11 (506) ოთხშაბათი, 6 თებერვალი, 1952 წ. ფასი 30 კაპ.

სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაში შაიბიან ჰოკეიში მიმდინარე წელს, ისე როგორც შარშან, გამარჯვება მოიპოვეს სამხედრო-საჰაერო ძალთა სპორტსმენებმა. სურათზე: სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი შაიბიან ჰოკეიში—სამხედრო-საჰაერო ძალთა (მოსკოვი) გუნდი.

ფოტო ბ. პუშკინისა (საკ. ფაი).

გავაძლიერეთ ფიზკულტურული მუშაობა სოფლად

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული ისტორიული დადგენილება ავალებს პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს გადაჭრით გაუმჯობესონ სოფლის მშრომელთა ფიზიკური აღზრდის საქმე—ორგანიზაციულად განამტკიცონ არსებული და ჩამოაყალიბონ ახალი ფიზკულტურული კოლექტივები, ფართოდ გაშალონ მუშაობა სოფლად კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ ნორმების ჩასაბარებლად.

ასრულებენ რა ბოლშევიკური პარტიის მითითებებს, რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სოფლად ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. ამ წარმატებებს დიდად შეუწყო ხელი 1949 წლის მიწურულში რესპუბლიკაში ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ დაარსებამ.

„კოლმეურნე“, რომელმაც ენერგიულად მოკიდა ხელი სოფლის მშრომელთა ფიზიკური აღზრდის საქმეს, გადაიქცა რესპუბლიკაში ყველაზე მასობრივ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებად. ახლა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში ჩაბმულია 120 ათასზე მეტი სოფლის მშრომელი. ორგანიზაციულად მტკიცდება ძირეული კოლექტივები, სისტემატურად იზრდება საზოგადოების იურიდიული და ინდივიდუალური წევრების რიცხვი.

მაგრამ სოფლად ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საერთო დონე ჯერ კიდევ დაბალია, იგი ვერ პასუხობს იმ ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის ისტორიული დადგენილებიდან.

კოლმეურნეობათა ფიზკულტურული კოლექტივების უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ გადაიქცა სოფლის მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ნამდვილ ცენტრად. „კოლმეურნის“ ზოგიერთი რაიონული საბჭო ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ თვითეულ კოლმეურნეობაში შეიქმნას ფიზკულტურის კოლექტივი. განა „კოლმეურნის“ სიღნაღის რაიონული საბჭოს უდარდელობას არ უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ რაიონის ისეთ მოწინავე კოლმეურნეობებში, როგორიცაა სოფელ ბოდბისხეკის სტალინის სახელობის და კაგანოვიჩის სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობები, არავითარი ფიზკულტურული მუშაობა არ წარმოებს?

საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა გამოწვეულია იმით, რომ „კოლმეურნის“ მთელი რიგი საოლქო და რაიონული საბჭოები სუსტად ხელმძღვანელობენ მათ, არ უწევენ ყოველდღიურ პრაქტიკულ დახმარებას ორგანიზაციულ და სასწავლო-სპორტულ მუშაობაში, არ ახორციელებენ ქმედით კონტროლს მათს საქმიანობაზე.

რაიონული საბჭოების მხრივ ძირეული კოლექტივების საქმიანობისადმი სუსტი კონტროლის შედეგად ბევრგან მოუგვარებელია ანგარიშგება-აღრიცხვიანობის საქმე. ეს კი იმას იწვევს, რომ ძირეული კოლექტივები ხშირად რაიონულ საბჭოებს უდგენენ არასწორ ცნობებს ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების, სექციებში მომეცადინეთა რიცხვის და სხვ. შესახებ. ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალდაბის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივის თავმჯდომარემ ამხ. ესვანჯიამ „კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოს წარუდგინა ანგარიში, რომლის მიხედვითაც კოლმეურნეობის ფიზკულტურელებიდან 8 მეცადინეობს კალათბურთის, 10 ქართული ჭიდაობის, 8 ფრენბურთის და 10 ტანვარჯიშის სექციაში. შემოწმებით კი გამოირკვა, რომ კოლმეურნეობაში ფაქტიურად არც ერთი სექცია არ არსებობს.

მართალია სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ დაარსებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული სოფლის ფიზკულტურელთა სპორტული მომზადების დონის ასამაღლებლად, მაგრამ ამ მხრივ ყველაფერი ჯერ კიდევ რიგზე არ არის.

თუ სოფლად სპორტის ხალხური სახეების განვითარების დარგში ჩვენ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს, ამას ვერ ვიტყვით სოფლის მშრომელთა შორის სპორტის კლასიკური სახეების დანერგვაზე. მაგალითად, არასახარბიელო შთაბეჭდილება დატოვა სოფლის ფრენბურთელთა და ვოლმარბიელთა შეჯიბრებებმა „კოლმეურნის“ პირველ სპარტაკიადაზე, რომელიც გასული წლის ნოემბერში გაიმართა. დიდი ნაკლოვანებებით ხასიათდება სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობა მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, სათხილამურო სპორტისა და სხვ. განვითარების დარგში.

„კოლმეურნის“ მთელი რიგი რაიონული საბჭოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა იმითაც უნდა აიხსნას, რომ ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტებს ავიწყდებათ თავიანთი პირდაპირი მოვალეობა და არ ახორციელებენ „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოებისადმი საქმიან ხელმძღვანელობას, არ უწევენ მათ სისტემატურ ქმედით დახმარებას. რატომღაც ზოგიერთი რაიონული კომიტეტის მუშაკები ფიქრობენ, რომ მათ მოვალეობას შეადგენს მხოლოდ კონტროლის გაწევა „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოების საქმიანობისადმი.

ფიზკულტურის კომიტეტებისა და „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოების ვალია გადაჭრით გაძლიერონ მუშაობა ფიზკულტურულ მოძრაობაში სოფლის მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმისათვის, მიიღონ ყველა ზომა საოლქოთაშორისო ფიზკულტურულ კოლექტივებში სასწავლო და სპორტული მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის, იზრუნონ საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებისათვის, სოფლად სპორტული ნაგებობათა ქსელის შემდგომი გაფართოებისათვის.

☆

ახალი საკავშირო რეკორდი

ამას წინათ გორკში გაიმართა საოლქო შეჯიბრება ციგურებით ჩქარსრბენულ რბენაში. მაღალი წარმატება ხედა ზილად ქალაქ პავლოვოს მოსწავლე ლ. პუზანკოვას. მან დაამყარა 500 მეტრზე რბენაში 15-16 წლის გოგონათა ახალი საკავშირო რეკორდი (51,8).

თავდადებული შრომის ნაყოფი

ამ დღეებში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში მოყვანილი ციფრები და ფაქტები მკაფიოდ მოგვითხრობენ იმ დიდ წარმატებებზე, რასაც მიაღწიეს გასულ წელს რესპუბლიკის მშრომელებმა ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

რესპუბლიკის მშრომელებმა შარშან, ისევე როგორც წინა წლებში, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით, შრომის ნაყოფიერების სისტემატური გადიდებით და საბჭოთა ტექნიკის უკეთ გამოყენებით მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწიეს მრეწველობის დარგში. რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების 1951 წლის გეგმა შესრულებულია 108 პროცენტით. მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება გასულ წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა 13 პროცენტით. საგრძნობლად გადააჭარბა საგეგმო დავალებს როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობამ.

1951 წელს გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით იქნა გამოშვებული მარგანეცის მადანი, ქვანახშირი, ცემენტი, შიფერი, ელექტროენერგია, ლითონსაჭრელი და საქსოვი დაზგები, ქაღალდი, მაგარი ტყავეული, შალის ქსოვილები, სათეთრეულე ტრიკოტაჟი, ერბო-კარაქი, მარგარინი, მაკარონის ნაწარმი, შაქარი, კონსერვები, ჩაი, ყურძნის ღვინო, პაპიროსი და სხვა სახეობის სამრეწველო პროდუქცია.

დიდი რაოდენობით ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქციის გამოშვებასთან ერთად გასულ წელს საქართველოს საწარმოთა უმრავლესობამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, შეამცირა თვითღირებულება, დაზოგა დიდძალი ნედლეული, მასალები, სათბობი და ელექტროენერგია.

საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. შარშან რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა შემჭიდროებულ ვადებში და გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის სახელმწიფო გეგმა. მიუხედავად 1951 წლის შემოდგომის ამინდის არახელსაყრელი პირობებისა გადაჭარბებით იქნა შესრულებული საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმაც.

1951 წელს უფრო მეტად განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაფართოვდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ქსელი; რესპუბლიკის მტს-ებმა მიიღეს ბევრი ტრაქტორი, კომბაინი და მისაბმელი იარაღი. მტს-ებმა შარშან 33 პროცენტით მეტი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეასრულეს, ვიდრე 1950 წელს. დიდი სამუშაოებია განხორციელებული ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად, ზამთრის ყინვებისაგან დაზარალებული ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების აღსადგენად.

1951 წლის 1 მარტიდან განხორციელებულმა მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალმა, საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ სათვალავით მეოთხე შემცირებამ გამოიწვია საქონელბრუნვის შემდგომი განვითარება. საცალო საქონელბრუნვის გეგმა 1951 წელს მთლიანად შესრულებულია 101 პროცენტით.

ყველა ეს წარმატება ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, მოიპოვა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის აქანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით.

ეს შესანიშნავი შედეგები აღფრთოვანებენ რესპუბლიკის მშრომელებს ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შემდგომი წარმატებებისათვის საბრძოლველად.

საქართველოს სსრ პირველობა სათხილამურო სპორტში

ბაკურიანი. 5 თებერვალი (**ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან**). დღეს აქ დაიწყო საქართველოს სსრ XVII პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში.

შეჯიბრების პროგრამაშია ამანათრბენები, სლალომი, სწრაფდაშვება, ტრამპლინიდან ხტომები, ორჭიდი და სხვადასხვა მანძილზე რბენა.

მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში პირველობას ერთმანეთს ეცილებიან ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების „ისკრის“, „დინამოს“ და „კოლმეურნის“ სპორტსმენები. მეორე ჯგუფში შედიან აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის, ბაკურიანის საშუალო სკოლის, ახალქალაქის და ახალციხის რაიონების მეთხილამურეები.

შეჯიბრების პირველ დღეს გაიმართა ქალთა და ვაჟთა ამანათრბენები ორივე ჯგუფისათვის.

შეჯიბრება გაგრძელდება 11 თებერვლამდე.

მწვრთნელთა ახალი კადრები

ი. ბ. სტალინის სახელობის ფიზიკური კულტურის ცენტრალურ ინსტიტუტში შედგა ფეხბურთის მწვრთნელთა სკოლის სპეციალური განყოფილების მსმენელთა მესამე გამოშვება.

სამი წლის სწავლის შემდეგ კურსდამთავრებულებმა, რომელთა შორის 8 სპორტის ოსტატია და 26 თანრიგოსანი, ჩაბარეს გამოცდები სსრ კავშირის ისტორიაში, რუსულ ენაში, ქიმიაში, ანატომიაში, ფიზიოლოგიაში, პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიაში, ფიზიკური აღზრდის თეორიაში, ფიზიკური კულტურის თეორიაში, ჰიგიენასა და საექიმო კონტროლში და სპეციალურ დისციპლინაში — ფეხბურთში.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობა მომავალ სეზონში პრაქტიკულ მუშაობას შეუდგება ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა კოლექტივებში.

ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია

★

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტებისაგან

★ ★

ზესტაფონის რაიონს, რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა ჩვენს რესპუბლიკაში, სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში.

რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების უხეირო მუშაობაზე ნათლად მეტყველებენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1951 წლის გეგმის შესრულების შედეგები. შარშან რაიონმა ვერ შეასრულა მშთ I და II საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების გეგმები.

ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის ცნობების მიხედვით, თითქოს უკეთესი მდგომარეობაა ჭაბუკთა თანრიგზე და მეორე თანრიგზე სპორტსმენთა მომზადების საქმეში. მაგრამ კომიტეტის ეს ცნობები ეჭვს ბადებენ და აი რატომ. სპორტული თანრიგების ჩაბარების დოკუმენტაციაში ნაჩვენები არ არის შედეგები მძლეოსნობასა და ფარიკაობაში, არსად არ ჩანს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების შუამდგომლობა თანრიგის მინიჭების შესახებ, შეჯერების ჩატარების ოქმის ამონაწერები და ბრძანებები მსაჯთა კოლეგიის დამტკიცების შესახებ.

დიდი ჩამორჩენაა რაიონში საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების დარგშიც. მივმართოთ ისევ ფაქტებს. გასულ წელს რაიონში მომზადებულ იქნა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების 15 თავმჯომარე, 11 ფიზორგი და 7 ინსტრუქტორი სპორტის სხვადასხვა სახეში, მაშინ, როდესაც გეგმა ითვალისწინებდა ფიზკულტურის კოლექტივის 46 თავმჯდომარის, 49 ფიზორგისა და 113 სპორტის სხვადასხვა სახის ინსტრუქტორის მომზადებას. გეგმით ნავარაუდევი იყო აგრეთვე რაიონში საერთო ფიზიკური მომზადების 24 ინსტრუქტორის მომზადება, მაგრამ მთელი წელი ისე გავიდა, რომ რაიონში აიც ერთი ინსტრუქტორი არ იქნა მომზადებული.

შეიძლება რაიონში კარგად იყენებენ უკვე მომზადებულ ფიზკულტურულ კადრებს? სამწუხაროდ, რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ამ საქმეშიც ვერ იჩენენ საჭირო მონდომებას.

ფიზკულტურული კადრების მომზადებაში ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენის ერთ-ერთი ძიზეზი ის არის, რომ რაიონულ კომიტეტს არ გააჩნია რესპუბლიკური კომიტეტის მიერ ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისში დაშვებული გეგმა. სწორედ ამიტომაა, რომ ძირეულ კოლექტივებში მუშაობა ამ მხრივ თვითდინებაზეა მიშვებული.

ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის ცნობით, რაიონში მომზადებულია სპორტის სხვადასხვა სახის 39 მსაჯი, ე. ი. გეგმა შესრულებულია ერთიორად. ეს მისასალმებელია, მაგრამ რას გახდებიან მარტო მსაჯები, როდესაც მთელი წლის მანძილზე რაიონში მხოლოდ ორი სპორტული ღონისძიება ჩატარდა. ამ შეჯიბრებების ოქმები ფიზკულტურის კომიტეტს, როგორც წესი, არა აქვს.

ფიზკულტურული მუშაობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ რაიონი განიცდის სპორტული ბაზების სერიოზულ ნაკლებობას. ზესტაფონის ძველი სტადიონი რამდენიმე წლის წინათ გადაეცა ადგილობრივ საავადმყოფოს, რომლის ხელმძღვანელებმა იქ ბოსტნეული დათესეს. რაც შეეხება ფეროშენადნობთა ქარხნის სტადიონს, რომლის მშენებლობაც უკვე 4 წელია ჭიანურდება, სპორტული მუშაობისათვის ჯერჯერობით გამოუსადეგარია. ბაზების მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც სკოლებშია. რაიონის არც ერთ საშუალო და რვაწლიან სკოლას არა აქვს დარბაზი, კეთილმოწყობილი საზაფხულო სპორტული მოედანი.

კარგი სპორტული დარბაზი ქონდა პედაგოგიურ სასწავლებელს, მაგრამ იგი გადააკეთეს სამუშაო ოთახებად. ამჟამად ფიზკულტურელების განკარგულებაშია ერთი პატარა ოთახი, ინვენტარი კი უწესრიგოდ ყრია დერეფანში.

ზესტაფონის ბავშვთა სპორტული სკოლის სექციებიდან ნაყოფიერად მუშაობს მხოლოდ ფარიკაობის სექცია. სექციის ხელმძღვანელი, გამოცდილი სპეციალისტი ს. საყვარელიძე დიდი მონდომებით მუშაობს რაიონში ფარიკაობის ფართოდ დანერგვისათვის. საკმარისია ითქვას, რომ სპორტის ამ სახეში მეცადინეობს 500-მდე მოსწავლე, მაგრამ სექციის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის სპორტული ინვენტარის უქონლობა. მოფარიკავეებს არა აქვთ საკუთარი სამეცადინო ოთახიც.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების რაიონული საბჭოებიც. ზოგი რაიონული საბჭოს მუშაკების საქმიანობა მხოლოდ საწევრო ანარიცხების აკრეფით ამოიწურება. ისინი სუსტად იბრძვიან ფიზკულტურული მუშაობის გაძლიერებისათვის, მშრომელთა შორის სპორტის სხვადასხვა სახეების დანერგვისათვის.

ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობის განვითარებისადმი ასეთ გულგრილ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს. ზესტაფონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ძირფესვიანად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, შეუქმნან რაიონის მშრომელებს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობის ყველა საშუალება. ამ საქმეში მათ სერიოზული დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ბ. ბერიაშვილი,
დ. კასრაძე.

თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა დასვენების საყვარელი ადგილია ჭადრაკის ოთახი. სურათზე: ქარხნის ერთერთი საამქროს ტექნოლოგი ზ. კუზანოვი (მარცხნივ) და საამქროს მუშაკი მ. ნონიკაშვილი შესვენების დროს თამაშობენ ჭადრაკს.

ფოტო მ. ზარგარიანისა

სოხუმის სპორტულ ბაზებში

წარმატებით დაამთავრეს აფხაზეთის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გასული წლის სპორტული სეზონი. გადაჭარბებით იქნა შესრულებული ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმები. საგრძნობლად გაიზარდა ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების რიცხვი. 48 სპორტსმენს მიენიჭა საქართველოს ჩემპიონის საპატიო წოდება.

ამ წარმატებებში გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი ქ. სოხუმის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს. ისინი ახალი ენერგიით შეუდგნენ მიმდინარე წლის დავალებათა განაღდებას. ქალაქის სპორტსმენები ნაყოფიერ წვრთნას ეწევიან ზამთრის პირობებში. ამაში მათ დიდი დახმარება გაუწია მთელი რიგი სპორტული დარბაზების ზამთრის სეზონისათვის დროულად მომზადებამ.

ყურადღებას იპყრობს სოხუმის სპორტული სკოლის კეთილმოწყობილი დარბაზი. აქ ნაყოფიერი მუშაობის სათანადო პირობა აქვს ყველა სექციას. წესიერი განათება, ნორმალური გათბობა, სისუფთავე დიდად უწყობს ხელს სპორტსმენთა მეცადინეობის ორგანიზებულად ჩატარებას. სექციებში მომეცადინეთა განკარგულებაშია გასახდელი ოთახი, ტანსაცმლის შესანახი კარადები, შხაპი და ექიმის კაბინეტი. სწორედ ამიტომ სპორტსკოლის დარბაზი სოხუმელ სპორტსმენთა საყვარელ ადგილს წარმოადგენს. საწვრთნელ მეცადინეობებთან ერთად აქ ხშირად ეწყობა შეჯიბრებებიც.

დიდი გამოცოცხლებაა ინდუსტრიული ტექნიკუმის სპორტულ დარბაზშიც, სადაც ყოველღღიურად წვრთნას გადიან ძალოსნები, ტანმოვარჯიშეები, მაგიდის ჩოგბურთელები და სხვ.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ზამთრის სეზონს მომზადებული ვერ შეხვდა ქალაქის ზოგიერთი სპორტდარბაზი. „მედიკის“ სპორტდარბაზი, რომელშიც ცეკვის წრე მეცადინეობდა, მხოლოდ ამ დღეებში განთავისუფლდა და გადაეცა სპორტსმენებს. განთავისუფლებულ იქნა აგრეთვე გასახდელი ოთახი, რომელიც ფოტოლაბორატორიად იყო გამოყენებული.

მოუგვარებელია სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ზამთრის პირობებში წვრთნა. მათ ვარჯიში უხდებათ დაბალშერიან უსუფთაო დარბაზში, სადაც იგრძნობა სპორტინვენტარის ნაკლებობაც.

საჭიროა სოხუმის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სრულ წესრიგში მოიყვანონ ქალაქის ყველა სპორტული ბაზა, შეუქმნან სპორტსმენებს ზამთარში ნორმალური მეცადინეობის ყველა პირობა.

კ. კლეპიკოვი,
ნ. მიქაშავიძე,
ჯ. ლეთოდიანი.

—⊙—

გაუმჯობესეს მუშაობა

ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესა მუშაობა ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივმა.

ამჟამად ტექნიკუმის სტუდენტთა განკარგულებაშია კარგად მოწყობილი ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, საჭიდაო სარაბელი და სახტომი ორმო. ტექნიკუმში შექმნილია ტანვარჯიშის, ფრენბურთის, კალათბურთის, ლელბურთის, ქართული ჭიდაობის, ფეხბურთის და მძლეოსნობის სექციები, რომლებშიც გაერთიანებულია 100-ზე მეტი სტუდენტი.

ბ. ალუბგაია

—⊙—

დარბაზი მოუწყობელია

ოჩამჩირის რაიონში მრავლად არის სპორტის მოყვარული ახალგაზრდა, მაგრამ მათი ნორმალური მეცადინეობისათვის რაიონში არავითარი პირობები არ არის შექმნილი. რაიონის ფიზკულტურელთა განკარგულებაშია მხოლოდ ერთი მომცრო დარბაზი. მუშაობის კარგი ორგანიზაციით ამ დარბაზში შესაძლებელი იქნებოდა სექციების მეცადინეობა, მაგრამ დარბაზს არ მოეპოვება საჭირო რაოდენობის ინვენტარი, გასახდელი ოთახი. მოუგვარებელია დარბაზის გათბობა-განათებაც.

ჯ. ნიკოლაძე

—◆—

ნორჩი ჭანმოვარჯიშეები

სტალინირი. ჩატარდა მოზარდთა სპორტსკოლის პირველობა ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილე 89 ნორჩ სპორტსმენთაგან 67 ჩაბარა სათანრიგო ნორმები.

ზ. ნადაძე

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სასაზღვაო წიგნი

სსრ კავშირის სამხედრო გამომცემლობამ გამოსცა ალპინიზმის საკავშირო სექციის თავმჯდომარის დ. ზატულოვსკის წიგნი „საბჭოთა ალპინიზმი“. წიგნში განხილულია საბჭოთა ალპინიზმის დამახასიათებელი ნიშნები და განვითარების გზები მისი ჩასახვიდან დღემდე.

მაღალი მთის სპორტი — ალპინიზმი საბჭოთა ქვეყანაში, ბურჟუაზიული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩაყენებულია ხალხის სამსახურში, მეცნიერების სამსახურში, სოციალისტური სამშობლოს დაცვის სამსახურში. წიგნში საინტერესოდაა მოთხრობილი, თუ რა დიდ დახმარებას უწევენ ალპინისტები არქეოლოგებსა და გეოლოგებს მიუვალი მთების წიაღში მინერალურ სიმდიდრეთა აღმოჩენის საქმეში, კერძოდ, ქართველი ალპინისტების ღვაწლზე ხვამლის, კაცხის და ბეთლემის გამოქვაბულების აღმოჩენასა და შესწავლაში. ავტორი აღწერს გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ალპინისტების გმირული მოქმედების არა ერთ ეპიზოდს, ალპინისტებისა, რომელთაც კავკასიის მისადგომებიდან შტრის განდევნისა და განადგურების ნიშნად ევროპის უმაღლეს მწვერვალზე — იალბუზზე კვლავ აფრიალეს წითელი დროშა.

წიგნის შესავალ ნაწილში ავტორი მოგვითხრობს სიძნელეებზე, რომლებიც ახლავს ალპინიზმს, აღწერს მთასვლელთა დამხმარე სპეციალურ მოწყობილობებს და საჭირო რჩევა-დარიგებებს აძლევს მთასვლელებს. ავტორი ფართოდ აღწერს საფრთხისაგან დაზღვევის საშუალებებს, რაც კოლექტივიზმის გრძნობით შეკავშირებულ საბჭოთა ადამიანებს უშიშარს ხდის მთებში მოძრაობისას.

წიგნის პირველ თავში აღწერილია ჩვენი ქვეყნის ხალხების უძველესი დროიდანვე მთებით დაინტერესება. დასავლეთ ევროპის ლიტერატურა ალპინიზმის ისტორიას იწყებს ექვმპაკარისა და გლეხი-მონადირის ჟაკ ბალმის მიერ 1786 წელს მონბლანის (4810 მ.) დაპყრობით. მაგრამ, როგორც აღნიშნავს დ. ზატულოვსკი, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ არის ცნობა, რომ მე-18 საუკუნის შუა წლებში მყინვარწვერზე (5048 მ.) ავიდა ვინმე იოსებ მოხევე. ასევე ყალბია ბურჟუაზიული ლიტერატურის მტკიცება იალბუზზე პირველი ასვლის შესახებ, რასაც მიაწერენ ინგლისელ ალპინისტ დუგლას ფრეშფილდს, რომელიც ორი მთიელის დახმარებით ავიდა იალბუზზე (5633 მ.) 1868 წელს. დ. ზატულოვსკი ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ 1829 წელს იალბუზზე ავიდა გენერალ ემანუელის ექსპედიციის ერთი წევრი მთიელი ქილარ ხაშიროვი.

სარეცენზიო წიგნის მეორე თავში ავტორი აღწერს საბჭოთა ალპინიზმის ჩასახვას და მისი განვითარების მთავარ მომენტებს. საბჭოთა ალპინიზმს საფუძველი ჩაუყარეს გ. ნიკოლაძისა და ალ. დიდებულიძის ექსპედიციებმა, რომლებიც 1923 წელს ავიდნენ მყინვარწვერზე. ეს ასვლები განსხვავდებოდა ყველა ძველი ასვლისაგან თავისი მასობრივობით. პროფ. გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მწვერვალს 18 ალპინისტმა მიაღწია.

განსაკუთრებით გულთბილ სტრიქონებს უძღვნის ავტორი სახელოვან ქართველ ალპინისტებს სიმონ, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებს, იაგორ კაზალიკაშვილს, შოთა მიქელაძეს და სხვებს, რომელთაც უდიდესი მუშაობა გასწიეს საბჭოთა კავშირში ალპინიზმის განვითარებისათვის. ქართველი ალპინისტების აქტიურმა მოქმედებამ გამოძახილი ჰპოვა ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებშიც. არაერთხელ იქნა დაპყრობილი კავკასიონის უმაღლესი და უძნელესი მწვერვალები მრავალი ალპინისტური ექსპედიციების მიერ, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ სახელოვანი საბჭოთა ალპინისტები ევგენი და ვიტალი აბალაკოვები, ა. გუსევი, ა. მალეინოვი, ბ. ალეინიკოვი.

საბჭოთა ალპინისტები უკვე აღარ კმაყოფილდებიან მხოლოდ მწვერვალებზე ასვლით, იწყებენ კედლების დაძლევას, აწყობენ ტრავერსებს. დიდი ყურადღება ექცევა ზამთრის ალპინიზმს, რასაც 1931-32 წლებში ჩაეყარა საფუძველი ბაკურიანში სამთოსათხილამურო სადგურის გახსნით.

ავტორი სპეციალურ ქვეთავებს უძღვნის საბჭოთა ალპინისტების სწრაფვას სპორტული ოსტატობის დაუფლებისაკენ და საბჭოთა ალპინიზმს, როგორც სპორტის მასობრივ სახეს.

წიგნის მესამე თავში ავტორი იძლევა პამირისა და ტიანშანის მთიანეთის გეოგრაფიულ მიმოხილვას და აღნიშნავს იმ სიძნელეებს, რაც ახლავს აქ ამართული ჩვენი ქვეყნის უმაღლესი მწვერვალების (სტალინის პიკი, გამარჯვების პიკი, ლენინის პიკი) დაპყრობას და შესწავლას. მაგრამ საბჭოთა ადამიანები სძლევენ ბუნების ყოველგვარ წინააღმდეგობას. საბჭოთა ალპინისტებმა საფუძვლიანად შეისწავლეს შუა აზიის მთიანეთი, რითაც დაუფასებელი სამსახური გაუწიეს მეცნიერებას.

ალპინიზმი ჩვენს ქვეყანაში ემსახურება მეცნიერების გამდიდრებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვის, მშრომელთა გაჯანსაღების საქმეს. ამიტომაცაა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა ისწრაფვის სპორტის ამ წარმტაცი სახის დაუფლებისაკენ. ამ საქმეში მას დიდად დაეხმარება დ. ზატულოვსკის წიგნი „საბჭოთა ალპინიზმი“.

სასურველი და საჭიროცაა ასეთი ხასიათის წიგნების ქართულ ენაზეც გამოცემა. ახალგაზრდობა უდიდესი ინტერესით მიიღებს ჩვენი სახელგანთქმული ალპინისტების ყოველ ნაშრომს.

ვ. პაიკიძე

მეტი ყურადღება სპორტის ნაციონალურ სახეებს

წერილი „მეტი ყურადღება სპორტის ნაციონალურ სახეებს“ გამოქვეყნდა ჟურნალ „ტეორია ი პრაკტიკა ფიზიჩესკოი კულტურის“ გასული წლის №-11 ნომერში ჟურნალის რედაქციის შემდეგი შენიშვნით:

„ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ი. რობაქიძის წერილში წამოყენებულია უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეხება სსრ კავშირის ხალხების სპორტის ნაციონალური სახეებისა და თამაშობების მეცნიერული შესწავლის მოწყობას.

ამ დარგში მეცნიერული მუშაობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემაში ფართოდ იქნეს გამოყენებული სპორტის ძვირფასი ნაციონალური სახეები და თამაშობანი.

რედაქცია თვლის, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო და კომიტეტის ფიზკულტურული სასწავლებლების სამმართველო მოვალენი არიან საჭირო ზომები მიიღონ, რათა მკვეთრად გაუმჯობესდეს სპორტის ნაციონალური სახეების მეცნიერული შესწავლის საქმე“.

სსრ კავშირის ხალხთა სპორტის ნაციონალურ სახეებს, რომლებიც ხალხის შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენენ, დიდი კულტურულ-ისტორიული ღირებულება აქვთ. ერთ მხრივ ისინი ნათლად ასახავენ ჩვენი ქვეყნის ხალხების ნაციონალური კულტურის მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს, მეორე მხრივ — წარმოადგენენ ფიზიკური აღზრდის თანამედროვე საშუალებათა შევსებისა და გამდიდრების წყაროს ისინი აგრეთვე გარკვეულ როლს ასრულებენ საბჭოთა ხალხების შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის ჩამოყალიბებაში.

როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „...პროლეტარული საერთო-საკაცობრიო კულტურა კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს და ასაზრდოებს ხალხთა ნაციონალურ კულტურას ისევე, როგორც ხალხთა ნაციონალური კულტურა კი არ უარყოფს, არამედ შეავსებს და ამდიდრებს საერთო-საკაცობრიო პროლეტარულ კულტურას“.

საბჭოთა ფიზიკური კულტურის შემდგომი განვითარების პროცესში სპორტის ნაციონალურ სახეებს შეუძლიათ შეასრულონ საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი. საბჭოთა სპორტის ძირითად სახეებს შორის და ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემაში საერთოდ მათ უნდა მიეკუთვნოთ ღირსეული ადგილი. ამის გამო სსრ კავშირის ხალხთა სპორტის ნაციონალური სახეების შესწავლას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენში უკვე დიდი ხანია ოფიციალურად აღიარებული სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეების შესწავლის აუცილებლობა. არაა საჭირო მივმართოთ შორეულ წარსულს, საკმარისია მივუთითოთ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პირველ ომისშემდგომ ხუთწლიან გეგმაზე, რომელშიც ერთ-ერთი ცენტრალურ ამოცანად აღიარებული იყო იმ შრომების გამოცემა, რომლებიც ცხადყოფდნენ სსრ კავშირის ხალხებისა და პირველ ყოვლისა დიდი რუსი ხალხის ორგანულობასა და თვითმყოფობას თამაშობათა, სპორტის, ტანვარჯიშის შექმნაში, ფიზიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის შემუშავებაში.

საკითხის ასე დაყენების შემდეგ მოსალოდნელი იყო ამ დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირეული გაუმჯობესება, მაგრამ სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეების გამოვლინებისა და შესწავლისათვის, მით უმეტეს ფიზიკური აღზრდის პრაქტიკაში მათი დანერგვისათვის მუშაობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

საკმარისია მივუთითოთ თუნდაც იმ მდგომარეობას, რომ ჟურნალში „ტეორია ი პრაკტიკა ფიზიჩესკოი კულტური“ — საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის წამყვან თეორიულ და სამეცნიერო-მეთოდურ ორგანოში უკანასკნელ წელიწად — წელიწადახევარში არ იყო გამოქვეყნებული სპორტის ნაციონალური სახეებისადმი მიძღვნილი არცერთი სპეციალური სტატია. წინა წლების ნომრებში ამ თემისადმი მიძღვნილ სპეციალურ სტატიებს უმნიშვნელო ადგილი ეკავათ. ფიზიკური კულტურის ცალკეული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ წლიური გეგმების შესრულების მიმოხილვებში, რომლებიც ამავე ჟურნალში იბეჭდება, ამ საკითხს დუმილით უვლიდნენ გვერდს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლებისათვის, ჯერ კიდევ არაა შესრულებული იმ ნაწილში, რომელიც ეხება სპორტის ხალხური სახეების ყოველმხრივ დანერგვას.

სსრ კავშირის ხალხების სპორტის ნაციონალური სახეების მეცნიერულ შესწავლაში არსებული ასეთი მდგომარეობა იმას მოწმობს, რომ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და ფიზკულტურის სასწავლებლებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხალხური შემოქმედების მნიშვნელობის შეუფასებლობას.

სსრ კავშირის ხალხების შეჯიბრებითი თამაშების მეცნიერული შესწავლა გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არ არის არცერთი ხალხი, რომელსაც არ შეექმნას ფიზიკური ვარჯიშისა და თამაშის თავისი ნაციონალური სახეები. ამ უკანასკნელებს გარკვეული ადგილი უკავიათ მათ ნაციონალურ კულტურაში და ხელს უწყობენ მაღალი ფიზიკური და მორალური თვისებების აღზრდას. ამის მაგალითად პირველ რიგში შეიძლება დასახელებულ იქნას დიდი რუსი ხალხის უმდიდრესი შემოქმედება თამაშთა შექმნაში. რუსმა ხალხმა დიდი რაოდენობით შეჰქმნა ნაციონალური თამაშები, რომლებმაც განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვეს და სარგებლობენ მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარულით. მათ რიცხვს მიეკუთვნება რუსული ჩოგანბურთი, რიკაობა და სხვ.

ფიზიკური ვარჯიშებისა და თამაშობების ხალხურ-ნაციონალური სახეებით მდიდარია აგრეთვე უკრაინელი და ბელორუსი ხალხის თამაშობითი ფოლკლორი. ნაციონალურ ფიზიკურ ვარჯიშებსა და თამაშობებს დიდი ადგილი უკავიათ აგრეთვე შუა აზიის ხალხების თამაშობითს ფოლკლორში. ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, თურქმენეთში შემონახულია მრავალი ძველებური ნაციონალური თამაში და ფიზიკური ვარჯიში, რომლებიც წარმატებით ინერგება ამჟამად. უზბეკეთში, მაგალითად, ფართო პოპულარობით სარგებლობს ჰიდობა „ყურეში“; შეჯიბრებები სპორტის ამ ხალხურ სახეში ყოველწლიურად რამდენიმე ათას მონაწილეს იზიდავს. ყირგიზეთში გავრცელებულია ცხენებით ჰიდაობის თავისებური ფორმა — „სოდარიში“. კაზახეთსა და უზბეკეთში დოღში, რომელსაც „ბაიგა“ ეწოდება, ათასობით კაცი მონაწილეობს.

სპორტის, ფიზიკური ვარჯიშებისა და თამაშობების ნაციონალური სახეებით მდიდარია სომეხი, აზერბაიჯანელი, ქართველი და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების თამაშობითი ფოლკლორი.

მაგრამ ფიზიკური კულტურისა და სპორტის ნაციონალური ფორმების დარგში ხალხური შემოქმედების გეგმიანი შესწავლა არ არის ორგანიზებული ჩვენი რესპუბლიკების უმრავლესობაში.

ფიზიკური აღზრდის პრაქტიკაში ფიზიკური ვარჯიშებისა და თამაშობების ხალხური სახეების დანერგვასა და მათი მეცნიერული შესწავლის დაყენებაში გარკვეული გამოცდილება აქვს საქართველოს სსრ რესპუბლიკას.

სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეების შესასწავლად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საქართველოში დაიწყო ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით. საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, ასრულებს რა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილებას, გაფართოვა და გაორმაგა მუშაობა სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეების გამოვლინების, შესწავლისა და ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობის პრაქტიკაში დასანერგად.

ლიტერატურული წყაროები და გამოკვლევები მოწმობენ, რომ სპორტის ნაციონალური სახეებიდან ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში წამყვანი ადგილი უკავიათ ჭიდაობას, ბურთის თამაშსა და ცხენოსანთა ასპარეზობას.

ქართული ხალხური ჭიდაობა უძველესი დროიდან წარმოადგენს სპორტის ერთ-ერთ საყვარელ სახეს. ამჟამად ქართული ხალხური ჭიდაობა კარგადაა შესწავლილი, განსაზღვრულია მისი ჩატარების წესები და შემუშავებულია სწავლების მეთოდიკა. სპორტის ამ სახეში ოფიციალურ შეჯიბრებათა მონაწილეების რაოდენობა წლითიწლობით იზრდება. ასევე შეიძლება ითქვას აგრეთვე ძველ ქართულ თამაშობაზე—ლელოზე. ამჟამად ეს თამაში მნიშვნელოვნად სრულყოფილია, შემოღებულია ახალი წესები. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად იგი გახდა ყველაზე უფრო მასობრივი და წარმტაცი ბურთის ხელით თამაშის ყველა ქართულ ხალხურ სახეებს შორის.

ქართველი ხალხის საცხენოსნო სპორტის მრავალფეროვანი სახეებიდან პირველ რიგში შესწავლილ და პრაქტიკაში დანერგილ იქნა ყაბახი და ისინდი.

საცხენოსნო სპორტის ხალხური სახეების დიდ პოპულარობას ადასტურებს ამ სახეებში ჩატარებულ შეჯიბრებათა მასობრივობის ყოველწლიური ზრდა. მაგალითად, საცხენოსნო სპორტის სახეებისათვის 1940 წელს დაწესებულ ლ. პ. ბერიას სახელობის თასის გათამაშებაში ყოველწლიურად მონაწილეობს ათასობით კაცი. ამ შეჯიბრებებს ნამდვილად სახალხო დღესასწაულის ხასიათი აქვთ.

ქართული ხალხურ-ნაციონალური სპორტის მრავალი სახე შეტანილია კომპლექსში „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ და სპორტულ კლასიფიკაციაში. ეს ხელს უწყობდა არა მარტო სპორტის ნაციონალური სახეების შემდგომ განვითარებას, არამედ საქართველოში ფიზკულტურული მოძრაობის მასობრივობის ზრდასაც.

სპორტისა და თამაშთა ხალხურ-ნაციონალური სახეები მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემაში. მაგრამ საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის პრაქტიკაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სპორტის ყველა ნაციონალური სახე. ნაციონალურ სპორტულ თამაშთა შორის არის ისეთები, რომლებიც შინაარსით, პედაგოგიური ან ჰიგიენური მონაცემებით არ აკმაყოფილებს საბჭოთა პედაგოგიკისა და ფიზიკური აღზრდის თეორიის მოთხოვნებს. ამიტომ სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეების შესწავლისას საჭიროა ვაწარმოოთ მათი მკაცრი შერჩევა და თანამედროვე პრაქტიკაში დანერგვისას სათანადო გადამუშავება.

ნაციონალური სპორტული თამაშების შერჩევისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ „...თვითეული ნაციონალური კულტურიდან ჩვენ ვიღებთ **მხოლოდ** მის დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს“.

განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო იმ თამაშთა მიმართ, რომელთა აღდგენა ხდება მხოლოდ უძველესი ლიტერატურული წყაროების მიხედვით.

სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეების ზუსტი შესწავლისათვის საჭიროა ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გეგმებში გაფართოვდეს ამ დარგში მუშაობის მოცულობა, ამასთან ამჟამად ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს ფაქტიური მასალის შეგროვებას, მისი პედაგოგიური ღირებულებისა და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის შესწავლას. შემდგომ სპორტის ეს სახეები უნდა სათანადოდ გადამუშავდეს და შეპრწყდეს ცდით, შედგეს თვითეული სახის დაწვრილებითი დახასიათება, მეცნიერულად დასაბუთდეს ფიზკულტურული მუშაობის პრაქტიკაში მათი დანერგვის მიზანშეწონილობა, მითითებულ იქნეს გამოყენების (სქესი, ასაკი და ა. შ.) კონკრეტული პირობები.

სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეების აღდგენას და ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობის პრაქტიკაში მათ დანერგვას თან უნდა ახლდეს სწავლებისა და მეთოდიკის დამუშავება, რაც სისტემატურად უნდა ზუსტდებოდეს ამ თამაშთა ათვისების მსვლელობაში. ასეთი მუშაობის ჩასატარებლად ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში უნდა შეიქმნეს სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეების შემსწავლელი სპეციალური სექტორები.

ფიზიკური კულტურის პედაგოგიურ ინსტიტუტებში საჭიროა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეების სწავლების კურსი, უფრო ფართოდ დანერგოს ისინი პედაგოგიური მუშაობის პრაქტიკაში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების შესაბამისი პრაქტიკული კათედრები გახდნენ სპორტის ცალკეული ნაციონალური სახეების შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრები. საჭიროა გამოქვეყნდეს სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეების ყოველმხრივი შესწავლისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული გამოკვლევები, გამოიცეს სკოლებისათვის რეკომენდებულ თამაშობათა კრებულები, ჩატარდეს ბავშვთა სპორტული დღესასწაულები ხალხურ-ნაციონალურ თამაშობათა ბაზაზე; მეტი ყურადღება მიექცეს სპორტის ნაციონალურ სახეებში შეჯიბრებების ჩატარებას.

ამასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია ნაჩვენები იქნეს ამა თუ იმ ნაციონალური რესპუბლიკის საზღვრებს იქით არსებული სპორტის ყველაზე უფრო ქვირფასი ნაციონალური სახეები, შეტანილ იქნან ისინი მშთ კომპლექსში, შემუშავდეს სპორტული კლასიფიკაციის სათანადო მოთხოვნები და ამით შეიქმნეს შესაძლებლობა სპორტის ცალკეული ნაციონალური სახეების მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელებისათვის.

საბჭოთა სოციალისტური ფიზიკური კულტურას მშენებლობაში უფრო მტკიცედ უნდა გამოიყენონ სსრ კავშირის ხალხების საუკეთესო ტრადიციები. ამ მხრივ ფიზიკური ვარჯიშებისა და თამაშობების ნაციონალურ-ხალხური სახეები ფიზიკური აღზრდის თანამედროვე საშუალებათა გამდიდრებას უშრეტ წყაროს წარმოადგენენ.

ა. ი. რობაქიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



ისინდში შეჯიბრების მომენტი.

უძლიერეს მეციგურეთა საკავშირო პირველობაში, რომელიც ალმა-ატის მახლობლად გაიმართა, მოსკოველმა ნ. მამონოვმა კლასიკურ მრავალჯიდის ჯამში მოაგროვა 189,770 ქულა. ეს ახალი საკავშირო რეკორდია. 5.000 მ. რბენაში ნ. მამონოვმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. მან დისტანცია გაირბინა 8 წუთსა და 3,7 წამში. სურათზე: ნ. მამონოვი.

ფოტო ლ. დორენსკისა



თბილისის 1952 წლის პირველობა

მაყურებლის დღიურიდან

2 თებერვალი. ღღეს, მეშვიდე ტურში საერთო ინტერესი გამოიწვია შეჯიბრების ლიდერების ოსტატ ებრალიძისა და პირველთანრიგოსან ელიოზიშვილის შეხვედრამ. მოწინააღმდეგეებმა დებიუტი მშვიდად გაითამაშეს, ეტყობოდა, რომ არც ერთ მათგანს უპირატესობის მიღების პრეტენზია არ ჰქონდა. მაგრამ მიტელშპილში ებრალიძემ შეგნებულად თავი აარიდა პოზიციის გამარტივებას. იგი რთული სტრატეგიული ბრძოლისაკენ ილტვოდა. ელიოზიშვილმა ენერგიული თამაში განავითარა და ხელთ იგდო ინიციატივა. მძიმე მდგომარეობაში ებრალიძემ პოზიციის შემსუბუქების მიზნით პაიკი შეწირა. პარტია გადაიდო ელიოზიშვილისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვა დავრანიანმა. მთელი პარტია ბუსლაევთან ახალგაზრდა მოჭადრაკემ კარგად ჩაატარა და დამსახურებულად მოიგო.

გ. გამრეკელმა ო. წოწოლაშვილთან შეხვედრაში არასახარბიელო მდგომარეობა მიიღო. წოწოლაშვილმა კომბინაციური თამაშით შეავიწროვა მოწინააღმდეგის ფიგურები, მოიგო ხარისხი და 37-ე სვლაზე პარტიაც.

ფიგურის ღრმად გაახრებული შეწირვით არნშტეინმა დაამარცხა აღამალიანი.

მეკვეე ბრძოლით აღინიშნა ტუგარინოვ-ჯაკობის შეხვედრა. ლაზიერის გამბიტში ჯაკობიამ კარგი მდგომარეობა მიიღო, მაგრამ შუა თამაშში დაუშვა შეცდომა და წააგო პარტია.

თამორიძე - გაჩეჩილაძეს პარტია გადაიდო საყაიმო მდგომარეობაში.

ი. კლიაცკინი ავადმყოფობის გამო ტურნირში აღარ მიიღებს მონაწილეობას.

3. თებერვალი. გავიდა ტურნირის პირველი ნახევარი. გამომძღავნდნენ ლიდერებიც. მერვე ტურში შეხვდნენ ბუსლაევი და ელიოზიშვილი. ლაზიერის დებიუტში ბუსლაევმა ღიდი უპირატესობა მიიღო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერ მონახა მისი გამოყენების სწორი გეგმა. ელიოზიშვილმა შეუპოვარი თავდაცვით ყანს მიაღწია.

ებრალიძემ მოხდენილად შეწირა პაიკი ტუგარინოვს და ლაზიერის ფრთაზე ენერგიული თამაშით მოიგო ფიგურა და მასთან ერთად პარტიაც.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ოცდა ტურის შემდეგ კვლავ წინ მიდის ოსტატი ებრალიძე, რომელსაც მოგროვილი აქვს 6 ქულა.

ნ. იმესაშვილი

★

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ფართო პოპულარობა მოიპოვა სათხილამურო სპორტმა, რომელმაც მასობრივი ხასიათი მიიღო. რესპუბლიკაში აგებულია ათობით ტრამპლინი და სათხილამურო ბაზა. წარმატებით დაიცვეს ბულგარელმა მეთხილამურეებმა თავიანთი ქვეყნის სპორტული ღირსება რუმინეთში გამართულ სტუდენტთა საერთაშორისო ასპარეზობაში. სურათზე: ბულგარეთის ერთ-ერთი უძლიერესი მეთხილამური ატანას დიმიტროვი, რომელმაც სტუდენტთა ასპარეზობაში ბულგარეთის სპორტსმენთა შორის ყველაზე უკეთესი შედეგი უჩვენა 18 კილომეტრზე რბენაში.

★

ოლიმპიური თამაშების წინ

ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე მრავალი ქვეყნის მეცეცხლურეები საწვრთნელ შეკრებებს გადიან შვეიცარიასა და ნორვეგიაში, სადაც ეწყობა აგრეთვე უძლიერეს მეცეცხლურეთა ამხანაგური შეხვედრები.

ამას წინათ ქ. ხამარში ერთმანეთს შეხვდნენ ჰოლანდიის და ნორვეგიის წარმომადგენლები. შეჯიბრება გაიმართა ლამით. როგორც ნორვეგიის სატელეგრაფო ბიურო იტყობინება, საუკეთესო ყინული ხელს უწყობდა მოსპარეზეებს.

1.500 მ. დისტანციაზე გამარჯვებული გამოვიდა ჰოლანდიელი ვან დერ ვოორტი — 2:20,4. ი. მარტინსენმა (ნორვეგია) და მაარსემ (ჰოლანდია) აჩვენეს 2:21,8; გ. ევრენიუმ (ნორვეგია) და ა. უისკესმა (ჰოლანდია) — 2:21,9.

ოსლოში „ბიშლეტის“ სტადიონზე, სადაც გაიმართება მეცეცხლურეთა ასპარეზობა ოლიმპიური თამაშების დროს, ერთმანეთს შეეჯიბრნენ ნორვეგიელი, კანადელი, ამერიკელი და ჰოლანდიელი მეცეცხლურეები. თითო წარმომადგენელი გამოიყვანეს ინგლისმა, შვეიცარიამ და ავსტრალიამ. 500 მეტრზე რბენაში მოსპარეზეებმა დაბალი შედეგები უჩვენეს. პირველი ადგილი ერგო ნორვეგიელ ა. იუხანსენს — 43,6. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ კ. გენრი (აშშ) — 43,8; ფ. ხოდტი (ნორვეგია)—44,3; ბ. მალმსტენი (შვეიცარია) — 44,4.

1.500 მეტრზე რბენაში 2:19,8 უჩვენა ნორვეგიელმა რ. აასმა. მას 1,5 წამით ჩამორჩა ვან დერ ვოორტი. მესამე შედეგი ქონდა ი. ანდერსენს (ნორვეგია) — 2:22,4. შემდეგ ადგილებზე არიან ი. მარტინსენი (ნორვეგია) — 2:23,3 და ამერიკელი დ. უერკეტი — 2:24,6.

5.000 მ. დისტანციაზე ვერც ერთი ქვეყნის წარმომადგენელმა ვერ გაუწია სერიოზული კონკურენცია ნორვეგიელ მეცეცხლურე ი. ანდერსენს — 8:16,5. მეორე ადგილი დაიკავა ა. უისკესმა (ჰოლანდია) — 8:32,3.

ანდერსენმა მოიგო ასევე რბენა 10.000 მეტრზე, რითაც დაამყარა ნორვეგიის ახალი რეკორდი — 17:00,1 (!). მეორე ადგილზე გამოვიდა კ. ბრეკმანი (ჰოლანდია) 17:25,0. მეშვიდე ადგილზე გამოსულმა დ. კრონშეიმ (ინგლისი) აჩვენა 17:46,8.

მრავალმიდის ჯამის მიხედვით ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: 1. ი. ანდერსენი — 193,222 ქულა; 2. რ. აასი — 197,225; 3. ი. მარტინსენი — 197,624, 4. უ. კარლსენი — 198,660; 5. კ. ბრეკმანი — 198,743.

დაბალი შედეგებით აღინიშნა ფინელ მეცეცხლურეთა საცდელი შეჯიბრებები, რომლებიც მათ თავიანთ სამშობლოში ჩაატარეს 500 მ. სუომალაინენი — 45,8; 5.000 მ. სალომაა—8:30,0 (სხვათა შორის, ეს ფინეთის ახალი რეკორდია). 1.500 მეტრზე და 3.000 მეტრზე რბენაში უკეთესი შედეგი ქონდა სალომაას (შესაბამისად — 2:25,3 და 5:04,3).

* * *

როგორც დპა-ს საგენტო ცნობიდან იუწყება, თებერვალში ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ) ოსლოში მოაწყობს მოლაპარაკებას კომიტეტში შემავალი ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლებთან. მოლაპარაკების ცენტრში იქნება მომავალი ზამთრის ოლიმპიური თამაშების გაფართოების შესაძლებლობის საკითხი. კერძოდ, იმის შესახებ, რომ ზამთრის თამაშობებში შეტანილ იქნას სპორტის ისეთი სახეები, როგორიცაა ფარიკაობა, ძალოსნობა და ჭიდაობა, რაც საგრძნობლად განტვირთავს საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებს.

საფრანგეთის სპორტული წრეები მოითხოვენ ოლიმპიური თამაშების სამ ნაწილად გაყოფას: ზამთრისა და ზაფხულის თამაშებს შორის საგაზაფხულო ოლიმპიური თამაშების მოწყობას. მათი აზრით საგაზაფხულო ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ გუნდური შეჯიბრებები, როგორც, მაგალითად, ფეხბურთი, ჰოკეი, კალათბურთი და შესაძლებელია ფრენბურთიც.

საჭადრაკო კომპოზიციის კონკურსის შედეგები

გასული წლის ნოემბერში გაზეთმა „ლელომ“ გამოაცხადა საჭადრაკო კომპოზიციის ნაწარმოებთა გადაწყვეტის კონკურსი, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავს.

კონკურსმა გვიჩვენა, რომ საჭადრაკო კომპოზიცია, კერძოდ ამოცანებისა და ეტიუდების გადაწყვეტა, ფართო პოპულარობას იხვეჭს ჩვენი რესპუბლიკის ჭადრაკის მოყვარულთა შორის. 1950 წელს გამოცხადებულ კონკურსთან შედარებით შარშანდელ კონკურსში მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა ერთი სამად.

საანგარიშო კონკურსში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 20 ქალაქმა და რაიონის 72 ჭადრაკის მოყვარულმა.

როგორც ცნობილია, კონკურსში გამარჯვებულთა გამოსავლენად დაწესებული იყო ქულობრივი სისტემა. კონკურსის შედეგების შეჯამების შედეგად გამარჯვება მიეკუთვნათ: ა. გოგიაშვილს, ვ. ნანობაშვილს (ორივე თბილისიდან), გ. გელაძეს, ტ. სართანიას (ორივე სტალინირიდან), ი. შოსტს, ბ. გოგინავას, ლ. ჩიქობავას, გ. ხოჭოლავას (ოთხივე ცხაკაიადან), ტ. ჯაბაურს (ყასპი), რ. და ო. თავარიანებს (ბორჯომი), თ. ლეთოდიანს (წულუკიძე) და რ. დადუნაშვილს (სოფ. ინაშაური, ვანის რაიონი), რომლებმაც გადაწყვიტეს ყველა ამოცანა და ეტიუდი და მოაგროვეს 28-28 ქულა.

კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოებული არიან საჭადრაკო ლიტერატურით და გაზეთ „ლელოს“ სიგელით.

კონკურსის ხუთმა მონაწილემ — მ. გაბუნიამ და გ. ბეჟენაშვილმა (ორივე თბილისიდან), [illegible] (ორივე), ზ. მუმლაძემ [illegible] (ორივე ხაშურიდან) მოაგროვეს 24-24 ქულა. კონკურსის 17 მონაწილემ, რომლებმაც ამოხსნეს ყველა კომპოზიცია, სწორად ვერ გადაწყვიტეს მხოლოდ № 2 ეტიუდი. მათ 23-23 ქულა მოაგროვეს.

კონკურსის შედეგებმა ცხადყვეს, რომ ბევრი მონაწილე კარგად ფლობს ამოცანებისა და ეტიუდების გადაწყვეტის ტექნიკას. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კონკურსში რატომღაც მონაწილეობა არ მიიღეს ქალაქების ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და ფოთის ჭადრაკის მოყვარულებმა.

ჭვეშოთ მოგვყავს საკონკურსო ამოცანებისა და ეტიუდების გადაწყვეტა.

* * *

ამოცანა № 1

ა. შეინინი (ლენინგრადი)

თეთრები: მფa8, ლd5, კd8 (3)
შავები: მფc8, კh2, მb7 პ. f7 (4)

შამათი ორ სვლაში.

1. კd8—e7 მუქარით 2. ლd5 : b7×
1. ... მb7—~ 2. ლd8×; 1. ... მd6 2. ლc6×; 1. ... კc7 2. ლf5× 1. ... მფc7 2. ლ : b7×

ამოცანა № 2

ლ. ლოშინსკი (მოსკოვი)

თეთრები: მფa7, ლh3, ეa4, ედ1, კa8, კf8, მc6, მg5 პ-ბი: d4, g2 (10)
შავები: მფd5, ლc2, ეe6, მf1, მg7 პ-ბი: b3, b6, c7 (8)

შამათი ორ სვლაში.

1. მg5—e4! მუქარით 2. მc6—e7×
1. ... ლ : c6 2. მc3×; 1. ... ე : c6 2. მf6 ×; 1. ... ლ : e4 2. ლ : b3 ×
1. ... ე : e4 2. ლd7×; 1. ... მფ : e4 2. ლf3×

აქვე არის შემაცდენელი 1. კf8—a3?, რომელიც სწორეა მხოლოდ 1. ... ე : c6 2. ლd7×, 1. ... ლ : c6 2. ლ : b3× დროს. მაგრამ 1. ... ლc2—c5! შემდეგ ამოცანა არ ამოიხსნება.

ამოცანა № 3

ლ. კუბელი (ლენინგრადი)

თეთრები: მფb2, ლa1, ედ2, ეh5 (4)
შავები: მფf6, პ-ბი: a2, c6 (3)

შამათი სამ სვლაში.

1. ეh5—h2! მუქარით 2 ლa1—f1+ მფf6—e5 3. ეh2—e2 × 1. ... მფg5 2. ედf2 მფg4 3. ლg1×; 1. ... მფe5 2. ეhf2 მფe4 3. ლe1×

ამოცანა № 4

ო. ვირცბურგი

თეთრები: მფc5, ლe2, კd7 (3)
შავები: მფb7, პ-ბი: a7, a6, c5 (4)

შამათი სამ სვლაში.

1. კd7—h3! მუქარით 2. ლe2—g4! მფb7—~3. ლg4—c8× თუ 1. ... a5, მაშინ 2. ლa6+ მფ : a6 3. კc8×

ამოცანა № 5

ა. ანდერსენი — XIX საუკუნის გამოჩენილი დიდოსტატი

თეთრები: მფh8, კd8, კe8 პ-ბი: f3, h2 (5)
შავები: მფh6 პ-ბი: h3. h7 (3)

შამათი ოთხ სვლაში

1. კe8—h5! მფh6 : h5 2. მფh8—g7 h7—h6 3. მფg7—f6 მფh5—h4 4. მფf6—g6×

ამოცანა № 6

ე. ცეპლერი და ა. კრემერი

თეთრები: მფg6, ეa7, კf1, მf4, მh3 (5)
შავები: მფh1, კc3 პ-ბი: b3, f3, h2 (5)

შამათი ოთხ სვლაში

1. ეa7—a1! მუქარით კf1—g2×
1. ... კ : a1 2. კd3 b2 3. კb1 f2 4. კe4×; თუ 1. ... კe1, მაშინ 2. ე : e1 და კg2×

ეტიუდი № 1

ლ. კუბელი (ლენინგრადი)

თეთრები: მფc2, მe5 პ-ბი; a2, c5, g2 (5)
შავები: მფa5, კf8 პ-ბი: a6, b7, g7 (5)

თეთრები იწყებენ და იგებენ

1. c5—c6! b7 : c6 2. მფc2—b3! მფa5—b5 3. a2—a4 + მფb5—a5 4. მe5—c4×; თუ 3. ... მფc5 (b6) 4 მd7+ ფიგურის მოგებით. თუ 2. ... c5, მაშინ 3. a4 c4+ 4. მ : c4×; 2. ... კc5 3. მc4+ მფb5 4. a4×; 2. ... ეe7 3. მ : c6+ მოგებით. 2. ... კd6 3. მc4+ მოგებით; 2. ... კb4 3. მ : c6+ მოგებით.

ეტიუდი № 2

ა. ტროიცკი (ლენინგრადი)

თეთრები: მფh2, კf8 პ-ბი: a2, f2, g2 (5)
შავები: მფh4, ლa6 პ-ბი: g7, g5, h5 (5)

თეთრები იწყებენ და იგებენ

1. f2—f3 ლa6—e2 2. კf8 : g7 ლe2—e1 3. კg7—c3! (მხოლოდ ასე) 3. ... ლe1—g3+ (თუ 3. ... ლe2, მაშინ 4. a4 ლf2 5. კe5 ლe1 6. g3+ მოგებით) 4. მფh2—g1 ლg3—f4 5. კc3—e1+ მოგებით.

1. ... ლa6 : a2 2. კf8 : g7 ლa2—e2 3. კg7 — c3! (აქ ამომხსნელთა ერთი ჯგუფი ეტიუდს წყვეტდა 3. კf6-ით, რაზედაც შავები უპასუხებდნენ 3. ... ლd2? და 4. კe5-ის შემდეგ აგებდნენ. მაგრამ 3. ... ლe1 შემდეგ თეთრები ვერ იგებენ. მაგ. თუ 4. კd4, მაშინ ლg3+ მუდმივი ქიშით; თუ 4. კc3, მაშინ ლe2 და თეთრებს სვლის მოგების საშუალება არა აქვთ) 3. ... ლe2—f2 (შავებს არ შეუძლიათ მეორე ჰორიზონტალის დატოვება) 4. კc3—e5 მოგებით.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი, კონკურსის მხაჯი.

წერილების კვაღდაკვაღ

„ტანვარჯიშის განვითარებაზე არ ზრუნავენ“

ამ სათაურით გაზეთ „ლელოს“ 1951 წლის 54-ე ნომერში მოთავსებულ წერილში აღნიშნული იყო, რომ ბათუმის 1951 წლის საქალაქო პირველობა ტანვარჯიშში დაბალ დონეზე ჩატარდა. შეჯიბრებამ გამოამეღავნა, რომ ქალაქის სპორტული საზოგადოებების უმეტესობა ტანვარჯიშის განვითარებას სათანადო ყურადღებას არ უთმობს.

როგორც აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ამბ. შ. მუკანაძე გვატყობინებს, „ლელოში“ მოთავსებული წერილი განხილულ იქნა ფიზკულტურის საოლქო კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე. წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. კომიტეტმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები ქ. ბათუმის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში სპორტული ტანვარჯიშის დარგში სასწავლო-სპორტული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

ბათუმის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. გ. ურუშაძეს მიეთითა არ დაუშვას შეჯიბრებათა დაბალ დონეზე ჩატარება.

მ ა თ ი ზ ნ ე-ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა ნ ი

„მარათონული ცურვა“

დიდი პოპულარობით სარგებლობს სამხრეთ ამერიკაში ეგრეთწოდებული მარათონული ცურვა. ამას წინათ მარათონული გაცურვა მოეწყო მდინარე რიო-პარანაზე (არგენტინა) ქალაქ სანტა-ფედან ბუენოს-აირესამდე. მარათონელებს ამ სარეკორდო მარშრუტის დროს თან ახლდა ორკესტრი, ქალები, თაყვანისმცემელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი. გზადაგზა „რეკორდმენები“ სვამდნენ ღვინოს, მღეროდნენ, წევდნენ სიგარებსა და საცეკვაოდ ადიოდნენ მცურავ რესტორნებში.

უცნაური რეკორდების ცხრილი

ყოველკვირეულმა ფრანგულმა ჟურნალმა „შავი და თეთრი“ თავის ერთ-ერთ ნომერში გამოაქვეყნა ადამიანის გამძლეობის მსოფლიო რეკორდები. აი ისინიც: 115 საათი უძილოთ, 75 დღე შიმშილი, 120 გრადუსი სიცხის გაძლება, 59 დღეში 9.000 კილომეტრის გარბენა, 1.375 კილომეტრის ფეხით გავლა (დღეში საშუალოდ 25 კმ.).

რეკორდი, რომელიც არ იქნა დამტკიცებული

დაკარში (საფრანგეთის სამხრეთ აფრიკა) სკოლების პირველობაზე სიმაღლეზე ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა ახალგაზრდა სპორტსმენმა ტიამ პაპ გალომ. მისი შედეგი 203 სმ. საფრანგეთის ოფიციალურ რეკორდზე უკეთესია, მაგრამ რეაქციულმა პრესამ რატომღაც მკაცრად გაილაშქრა ამ რეკორდის წინააღმდეგ. გაზეთი „ეკიპი“ წერდა, რომ პაპ გალოს რეკორდი არ დამტკიცდება, რადგან ასპარეზობა რაღაც „განსაკუთრებულ პირობებში ტარდებოდაო“. რა იყო ეს პირობები, გაზეთი ამის შესახებ არაფერს არ წერდა.

საფრანგეთის სპორტული წრეების გულისწყრომის ნამდვილი მიზეზი კი მდგომარეობს იმაში, რომ პაპ გალო ზანგია. ფრანგი რეაქციონერები ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ ზანგის შედეგი „წმიდა სისხლის“ ფრანგ დამატიოს შედეგზე უკეთესი აღმოჩნდა.

მკვლელობა სტადიონზე

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გვატემალისა და სან-სალვადორის ფეხბურთის ეროვნული გუნდების შეხვედრამ. გაზეთებმა ფართოდ გაშუქეს თამაშის დამთავრების შემდეგ სტადიონზე ატეხილი ჩხუბი და აეურ-ზაური, რის შედეგად რამდენიმე კაცი მოკლული იქნა, ხოლო ათობით მაყურებელი და მოთამაშე დაშავდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ სან-სალვადორის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გვატემალის მთავრობას გაუგზავნა პროტესტის ნოტა, რითაც მოითხოვდა დამნაშავეთა ღირსეულად დასჯას.

მხოლოდ ფაქტები

⊙ გერმანელმა მოცურავე ქალმა რუტ ლიტტიციმა ცადა 100 საათიანი სტატიკური ცურვის რეკორდის დამყარება. მან ესენის ტბაში დაპყო 79 საათი. გულწასული სპორტსმენი გადარჩენილი გამოიყვანეს ნაპირზე. იგი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

⊙ ამსტერდამელმა კლიფმანმა დამყარა გაზეთის ჭამის რეკორდი, რის შემდეგ კუჭის ავადმყოფობა მიიღო.

სარედაქციო კოლეგია

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12; დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო“. ტელეფონი 8-90-84.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЦ 00129